№ 240
ნოემბრის 9, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 240
ნოემბრის 9, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტფილისის ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი საზოგადოდ იუწყება, რომ კვირას, 10 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, გადახდილი იქნება ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში სულის მოსახსენებელი პანაშვიდი იმ **მხედართა**, რომელნიც დაიხოცნენ უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომში. აგრეთვე იქნება გადახდილი პანაშვიდი ვანქის სობოროში იმავე ომში დახოცილ გენერლებისა:

გრაფ ლორის-მელიქოვისა, ლაზარევისა, ტერ-გუკასოვისა, ალხაზოვისა და შელკოვნიკოვისა,

რომლებიც დაკრძალული არიან ამავე სობოროს ეზოში. (1—6—1)

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა"

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩააბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავალი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უმთავრესნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ სოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას"**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—49)

№ 13. ტელეფონი 617

დილის წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 10 ნოემბერს, 1902 წ.
დილის 12 საათზედ
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის
მიერ წარმოდგენილ იქნება

დაკლებულის ფასებით

სწორედ შუადღეზედ.

პატიოსნება

კომედ. 4 მოქ. გენრ. ზუდერმანისა; თარ. არ. ახნაზაროვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი. ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე ს. სვიმონიძე, შათირიშვილი, რომანიშვილი, ქლენტი და სხ.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მანეთიდან 8 მან.-დე; პარტერი 50 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ.-მდე; გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი შუადღის 12 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „კოვერლეის მკვლელობა" „მუშაკი და ნებიერი", „მტერმოყვარე ძმები".

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ლამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

გადაღებულია ნოტებზედ 30 ქართლ-კახურ-იმერული საერო კილოები; კილოები დაწერილია ორწყებიან ხაზის სისტემაზედ; ამ კილოებსვე დართული აქვს 70 ხალხური ლექსი; ყველა ამ ნამუშავარს დასტამბა სჭირია; ვინც ამ სიმღერების დასტამბვას იკისრებს, მას უფასოდ დაეთმობა პირველი გამოცემა და ამ სიმღერების დამწერივე იკისრებს უსასყიდლოთ კორექტურის გასწორებას. მსურველს შეუძლიან მიჰმართოს პირობათა შესატყობად „ივერიის" რედაქციას. 5—1

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა,

მ. ბ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. მძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი 617.

დღეს, შაბათს, 9-ს ნოემბერს ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება ბ-ნ **ბროჯი-მუტინის** მონაწილეობით:

ტრუბადური

ოპერა 4 მოქმედებათ და 8 სურათად. მუზ. ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ზორინა, კარამზინა-ჟუკოვსკისა, სკუროპსკისა, ბ-ნნი ვასილიევი, ბროჯი-მუტინი, პეტროვი, პევცოვი, სვობოდინი და სხვ.

კაპელმეისტერი **ლ. პ. შტეინბერგი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხვალ, კვირას, 10 ნოემბერს, ცნობილი არტისტი ქალის **ინსაროვის** და **ა. პ. ბონაჩიჩის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **„კარმენ"**. კარმენის როლს შეასრულებს მ. ნ. **ინსაროვისა**, დონხოზეს ა. პ. **ბონაჩიჩი.**

ორშაბათს, ა. პ. ბონაჩიჩისა და ა. ამალინის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება რეჟისორის ბელსკის სასარგებლოდ **„ციგანსკი ბარონი"**.

ბილეთები ყველა წარმოდგენებისა უკვე იყიდება. ოპერის დასი დარჩება მხოლოდ 15 ნოემბრამდე.

რეჟისორი **ი. ფითოევი.**

ტფილისი

✦ კომისიაა შემდგარი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ინსტრუქცია იმისი, თუ როგორ უნდა მოეწყოს და მოწესრიგდეს კავკასიაში მამულების დარიგების საქმე სახაზინო გლეხთათვის. კომისიაში არიან: შიმანოვსკი, მ. მაჩაბელი და ზოლოტარიოვი. კომისიას თავმჯდომარედ ჰყავს მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ბ-ნი მედვედევი. ინსტრუქცია დასამტკიცებლად მინისტრს გაეგზავნება.

✦ იანვრიდგან, როგორც განზრახულია, უკვე უნდა მზად იყოს ოთხი დასი მამულების მხრივ სახაზინო გლეხთა მოწყობისა კავკასიაში. თითოეულს დასში 14 მოხელე უნდა ირიცხებოდეს, ხოლო ოთხივეში 56 კაცი. მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ არის საბოლოოდ, ეს დასნი დანაწილდებიან გუბერნიებზედ, თუ საზამთროდ იმუშავებენ ტფილისშივე.

✦ დღეს გაემართა ბორჩალოს მაზრაში უფროსი მომწყობი სახაზინო გლეხთა მამულების მხრივ მ. მაჩაბელი იმ მოხელეთა ნამუშევარის სარევიზიოდ, რომელნიც ამ ზაფხულს მუშაობდნენ იქ. რევიზიის გათავების შემდეგ მოხელენი ხელს აიღებენ ადგილობრივ მუშაობაზედ და ტფილისში დაბრუნდებიან საზამთრო მუშაობის აქ განსაგრძობად.

✦ გაზ. „კავკ."-ს სწერენ დეპეშით პეტერბურღიდგან, რომ იანვრიდგან დაარსდება კავკასიაში ახალი თანამდებობა ჩაის ბუჩქის გაშენების ინსტრუქტორისა.

✦ რუსეთში ცნობილი პოეტი-ქალი ი. გრინევსკისა ამ ჟამად ქართულ პოეტების ნაწერებს სთარგმნისო. (Нов. Об.)

✦ ქართული საღამო შეუძლებელ მოსწავლეთა დასახმარებლად პეტერბურგში გაიმართება ამ თვის 24 რიცხვს. „ნოვ. ობოზრ." ამბობს, რომ ამ საღამოში მონაწილეობას, სხვათა შორის, ბ-ნი კლენოვსკიც მიიღებსო.

✦ „ნოვ. ობოზრ."-ს შეუტყვია, რომ მომავალ დეკემბერში პეტერბურგის უნივერსიტეტში უნდა დაიცვან დისერტაცია ახალგაზდა მეცნიერებმა: ბ-ნმა ჯავახიშვილმა—აღმოსავლეთ ენების მეცნიერებისა და ბ-ნმა სარქისიანცმა—საერთა-შორისო უფლებისა.

✦ საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი ბროძელი დღეს სოფ. მეჯვრისხევს მიდის, რომ იქ სასოფლო საავადმყოფოს გახსნას დაესწროს.

✦ გუშინ, 8 ნოემბერს, რიყის ქუჩაზედ აკურთხეს პირუტყვთა მფარველ საზოგადოების ახალი შენობა და ამავე დღეს ულოცავდნენ ამ საზოგადოებას ოც-და-ხუთის წლის არსებობას; გუშინვე დაიწყო ამავე შენობაში მოთავსებულმა პირუტყვთა სამკურნალომ თავისი მოქმედება; კურთხევაზედ მიწვეულნი იყვნენ ტფილისის გუბერნატორი, ქალაქის თავი და მრავალი საპატიო კაცნი, საზოგადოების თავმჯდომარე, გენერალი რეიტერი, ყველას სიამოვნებით ეგებებოდა; საზოგადოებამ ამ დღეს მრავალი მისალოცი ტელეგრამა და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა დეპუტაციები მიიღო; ამავე დღეს წაკითხულ იქმნა ანგარიში ამ საზოგადოების ოც-და-ხუთის წლის არსებობისა; მილოცვის შემდეგ საზოგადოების თავმჯდომარემ მიიწვია საპატიო კაცნი საგანგებოდ დამზადებულ საუზმეზედ.

✦ წელს ტფილისის მაზრიდგან სამხედრო ბეგარის გადასახდელად გაწვეულ იქმნა 180 კაცი.

✦ ქალაქის გამგეობამ ტფილისის ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებას წრეულობით დახმარება აღმოუჩინა 500 მანეთით.

✦ როგორც იქმნა, ტფილისის ცნობილმა იურისტებმა: კალანთარმა, შევალიემ, ტურკევიჩმა და სხვათა წარუდგინეს სამოსწავლო გამგე კომისიას თავიანთი აზრი ტფილისის სასკოლო კომისიის შესახებ; ამ იურისტების აზრით, კომისიის არსებობა კანონიერად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი არსებობს იმ სასწავლებელთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რომელთა წესდებაც მთავრობისაგან არის დამტკიცებულიო და ეს მთავრობისაგან დამტკიცებული სასწავლებელთა წესი თვით 1892 წელს შემოღებულ სამოქალაქო დებულებასაც არ უარ-უყვიაო.

✦ ბათუმის ქალაქის თავის მოწერილობაზედ, შტაბის უფროსის და კომენდანტის სადგურებზედ არის შეწერილი ქალაქის სავალდებულო გარდასახადი თუ არაო, ქალაქის თავმა შეატყობინა: თუმცა კომენდანტი საკუთარს სახლში სცხოვრობდა და შტაბის უფროსი საინჟინერო უწყების სახელმწიფო სახლში, ქალაქის დებულების 128 მუხლის ძალით, ესენი მაინც იხდიან ქალაქის სასარგებლოდ სავალდებულო გარდასახადსა.

✦ ქალაქის გამგეობამ წარუდგინა რა ტფილისის გუბერნატორს 1902 წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა, გუბერნატორმა მოითხოვა გამგეობისაგან შეეცვალა ზოგიერთის გასავალის მუხლი, ამ ნაირად ქალაქის გამგეობის მიერ გადადებული 8000 მან, პუშკინის სახელობაზედ ბიბლიოთეკის ასაგებად და 4000 მან. გოგოლის სახელობაზედ ძეგლის დასადგმელად შეტანილ იქმნა 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

✦ ქალაქის პირველ ხორცის დუქანში ამ ჟამად ღორის ხორცის ყიდვაც გაჩაღდა; პირველი ხარისხისა ისყიდება 12 კაპეიკათ, მეორე 10 კაპ. და მესამე—8 კაპ.; ქალაქის ხორცის დუქნების გამგემ ეს ფასები საცდელათ დაჰნიშნა უნდა გამოიანგარიშოს და გაიგოს, თითონ ქალაქს რა დაუჯდება გირვანქა ღორის ხორცი, ვნახოთ რამდენს ხანს გასტანს ეს ცდა, თუმცა-კი აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კერძო საყასბოებში პირველ ხარისხის ღორის ხორცი ისყიდება 9—10 კაპეიკათ და 8 კაპეიკიან ხორცსაც ღარიბი კაცი წუნს ვერ დასდებს.

✦ ამ ჟამად ქალაქი განათებულია 3225 ფარნით; გამოიანგარიშებით ქალაქის ქუჩებში ამ რიცხვს გარდა უნდა დაედგათ 415 ფარანი, სამწუხაროდ, გადის წელიწადი და ჯერ 50 ფარნის მეტი არ დაუდგავთ, თუმცა-კი განათების აგენტს იმედი აქვს ამ წლის ბოლომდის 125 ფარანი მაინც დასდგას კიდევ.

✦ ქალაქის ღამის თავშესაფარებში მცხო-

ვრებთათვის ქალაქის გამგეობისაგან განსაკუთრებული წესებია შემუშავებული, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს ყველა იმათთვის, ვინც ამ თავშესაფარში იცხოვრებს, ამ სავალდებულო წესთა შორის ერთი მუხლიც არის აღნიშნული, რომლითაც ყველას თავშესაფარში ერთის თვის ცხოვრების ნება ეძლევა; როგორც პრაქტიკულმა დაკვირვებამ აღმოაჩინა ამ მუხლის სავალდებულოდ გახდომა თავშესაფარში მცხოვრებთათვის ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც აქ შეხიზნულნი დროზედ სამუშაოს ვერ შოულობენ და ამის გამო ბევრჯელ ერთი და იგივე 2 და მეტს თვეზედაც რჩება თავშესაფარში; მეორეც ესა ნათქვამია, „თუ მადლსა შვრები, მარილიც ზედ მოაყარეო“. ამ ჟამად ქალაქის გამგეობა თითო თავშესაფარს თვეში ერთ ფუთს შაქარს და ერთ გირვანქა ჩაის აძლევს, აქედგან ადვილად წარმოსადგენია, ვის რად უნდა გასწვდეს ესა და მაშასადამე ღარიბნი რა გაჭირებულნი იქნებიან ამ მხრივ; ჩვენი აქ მოყვანილი ცნობანი ფრიად საყურადღებოა და საგულისხმიერო, არა თუ მარტო იმ გაჭირებულთათვის, ვინც იქ იფარავენ სიცივისაგან თავს, არამედ თვით იმ კომისიის წევრთათვის, ვინც ამ თავშესაფართა ბედ-იღბალს განაგებენ; თავშესაფართა კომისიას თითქმის ყოველ სამთვეში და წლის დამლევაც წარუდგენენ ხოლმე ზედამხედველები ანგარიშს; აი სწორედ თავშესაფარის ზედამხედველები მოვალენი არიან ყველა ეს წესები ცხოვრებას შეუთანხმონ, კარგად გააცნონ კომისიის წევრთ და ქალაქის გამგეობასაც, რომ იღონონ რამე და გააუმჯობესონ ღამის მთევლების მდგომარეობა ამა თუ იმ თავ-შესაფარში.

◆ სოფელ ხოვლეში მცხოვრებს თავად გრიგოლ აღ. ჯავახიშვილს მიურთმევია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარისთვის შემდეგი თხოვნა: დიდი ხანია სოფელი ხოვლე მოკლებულია ხეირიან სასმელ წყალსაო; მცხოვრებთა რიცხვი კი ამ სოფლის დღითი-დღე მატულობს; ჯერ კიდევ 1860 წელს ხოვლეში 100 კომლი იყო; 1902 წელს-კი ამ სოფელში ითვლება 400 კომლი, ამ რამდენისამე წლის წინად ჩემის ხარჯით ვერს ნახევრის სიშორიდან გამოვიყვანე წყარო ჩემის საჭიროებისათვისაო, თუმცა-კი ამავე დროს მცხოვრებნი დაუშლელად ხმარობდნენ ამ წყაროდგან წყალსაო; ამ ჟამად ეს წყარო 400 კომლის მოთხოვნილებას მესამედათაც ვერ აკმაყოფილებსო და ამიტომ საჭიროა ამ გარემოებას რამე წამალი დაედოსო; განვიზრახე-რა სოფელში წყაროს გამოყვანა, ამ კეთილ საქმისთვის საჭიროა ფულიო. ამიტომ თავადი ჯავახიშვილი მიჰმართავს საზოგადოების თავმჯდომარეს და სთხოვს, იშუამდგომლოს, რომ საზოგადოებამ ათის წლის ვადით თავ. ჯავახიშვილს ავალოს ასი თუმანი, რომელსაც ამ ათ წელს გადავიხდი ნაწილ-ნაწილადაო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ, თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ 13 მაისს 1892 წლის ცირკულიარისა, გუშინ გაგზავნ ტფილისის სასაკლაოს ანგარიში ოქტომბრის განმავლობაში; როგორც ანგარიშიდგან სჩანს, სასაკლაოში ოქტომბერს დაკლულა 6924 მსხვილ-ფეხი საქონელი, ხბო 511, ღორი 1189, ცხვარი 19622 და ცხენი 2; ამავე თვის განმავლობაში სასაკლაოს გამგე ბეითალს არ მიუცია ნება დაეკლათ 39 მსხვილ-ფეხი საქონელი, რომელიც სხვა-და-სხვა ავადმყოფობით ყოფილა შეპყრობილი.

◆ ორშაბათს, 13 ნოემბერს დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება; კრებამ უნდა განიხილოს 31-მდე საქმე; სხვათა შორის საბჭო განიხილავს სახელოსნო სკოლის ახალს პროექტს.

◆ ჯერ კიდევ 25 ოქტომბერს 1901 წელს ქალაქის გამგეობამ დანიშნა რევიზია უსახელო საზოგადოების შესავალ-გასავალ წიგნების გადასათვალიერებლად; კომისიაში დანიშნულნი იყვნენ ქალაქის გამგეობის უფროსი ბუხგალტერი ვერმიშევი, უმთავრესი კონტროლიორი ქალაქის გამგეობისა პარუნ-სარქისოვი და ამავე გამგეობის ბუხგალტერი ოტიანცი; ზემო დასახელებულნი შეუდგნენ დავთრების გადათვალიერებას, მაგრამ რადგანაც ზოგიერთის წიგნის ანგარიში არეულ-დარეული იყო, სარევიზიო კომისია იძულებული იყო თავი დაენებებინა დავთრების განხილვისათვის; კომისიამ წიგნების უწესობის ამბავი მოახსენა ქალაქის გამგეობას; გავიდა დრო და ჟამი და ქალაქმა დაივიწყა ეს ყველა ატეხილი აურ-ზაური; ხელმეორედ დანიშნა ისინივე სარევიზიოდ. ამ ჟამად ამ კომისიამ უკვე წარადგინა გამგეობაში თავისი ნამუშევარი. როგორც სარევიზიო კომისიის მოხსენებიდგან სჩანს, უსახელო საზოგადოებას 1900 წლის 14 მარტიდგან 1901 წლის 14 მარტამდე ბილეთების გაყიდვით შემოსვლია 455,512 მან. 77 კაპ. აბონენტებისაგან — 23224 მან. 18 კაპ; უვარგის ცხენების გაყიდვით 2132 მან., სხვა-და-სხვა თანხის სარგებელი 1790 მან. 14 კაპ. დაძველებულ ქონების გაყიდვით 1422 მან. 16 კაპ; უსახელო საზოგადოებას 14 მარტიდგან 1900 წ. 1901 წლის 14 მარტამდის შემოსვლია 484,081 მან. 25 კაპეიკი.

◆ ბ-ნმა კენიგსბერგმა ჯერ კიდევ ოქტომბერში მიართვა ქალაქის გამგეობას თხოვნა და განუცხადა, რომ, თუ ქალაქის გამგეობა შესაძლებლად დაინახავს, ნება მომცეს ქალაქის სასაკლაოსთან ქარხანა გავმართო, სადაც დაკლულ საქონლის სისხლისგან მიწის სასუქი მასალა ვამზადოვო; ბ-ნი კენიგსბერგი ქალაქს 500 მან. აძლევს წელიწადში სასაკლაოდან წაღებულ საქონლის სისხლში; ქალაქის გამგეობამ განიხილა-რა კენიგსბერგის განცხადება, დართო ნება მთხოვნელს ქარხნის აშენებისა.

◆ ჩვენ უკვე მოყვანილი გვქონდა ანგარიში ქალაქის სასანიტარო და სამკურნალო საბჭოს კრებისა, რომელიც წარსულის თვის დამლევს მოხდა; სხვათა შორის საბჭომ განიხილა გუბერნატორის მოწერილობაც, რომელიც ატყობინებდა სასანიტარო საბჭოს, რომ ღორის ხორცს საკმარისად არ აჩნევია მიკროსკოპიულად გამოკვლევის ნიშანიო და სთხოვდა, რაიმე ღონისძიება მიიღეთ ამის მოსასპობლადაო; საბჭომ ამ კრებაზე გადასწყვიტა, ყველა მიკროსკოპიულად გამოკვლეულ ღორის ხორცს დაესვას ბეჭედიც და შეებას სანიტარულ განყოფილების მიერ ნიშნებით აღნიშნული ტყვიაო; ამ ტყვიების დასამზადებლად საბჭომ გადადო წრეულობით 220 მან; სასანიტარო საბჭომ, ამ დადგენილების ძალით მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, როგორც 220 მანეთი ტყვიების დასამზადებლად, აგრეთვე ისიც, რომ მომავალ 1903 წლის ხარჯთ აღრიცხვაში, გამგეობას მოეთავსებინა 305 მანეთი ამავე საჭიროების გულისათვის; ქალაქის გამგეობამ განიხილა რა სასანიტარო-საექიმო საბჭოს თხოვნა, დააკმაყოფილა მისი მოთხოვნილება და დაადგინა, მომავალ წლისათვის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს 305 მანეთიც.

ამავე კრებაზე ბ-ნმა ე. ბაბოვმა სთხოვა დამსწრე წევრთ, რომ იმ ოთხკუთხიანი ქვის ნიმუშები, რომლითაც უნდა მოიფინოს ქალაქის ქუჩები და მოედნები, გაიგზავნოს პეტერბურგში, გზათა ინჟინრების მექანიკურ ლაბორატორიაში და ეთხოვოს გამოიკვლიონ ამ ქვების სიმაგრე და ამძლეობაო; კომისიამ ბ-ნ ბაბოვის განცხადება მოიწონა და დაადგინა, გამოსაკვლევად გაიგზავნოს ეს ოთხ-კუთხიანი ქვები პეტერბურგშიო.

◆ გუშინ-წინ ქალაქის გამგეობაში მოჰხდა კრება იმ მცირე კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის ქუჩებისა და მოედნების ოთხ-კუთხიან ქვით მოკირწყვლა. ამავე კრებაზე მიწვეულნი იყვნენ ტფილისის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელნი ბ-ნნი რიძზინსკი და გრიმანისი, რომელთაც უნდა წარმოედგინათ თავიანთი აზრი, ჰსურთ ქალაქის გამგეობასთან ერთად მოჰფინონ ცხენის რკინის გზის ლიანდაგები ოთხკუთხი ქვაფენილით, თუ არაო; ბ-ნნთ რიძზინსკიმ და გრიმანისმა სრული თანხმობა განაცხადეს, შეუდგნენ ქალაქთან ერთად ლიანდაგების მოფენასაო, ამასთანავე უსახელო საზოგადოების წარმომადგენლებმა ისიც განუცხადეს კომისიას, რომ თუ შეიძლება ჩვენი სავალდებულო მოსაკირწყლავი რკინის გზის ლიანდაგის მოწყობა იკისროს თვით ქალაქმა და ტეხნიკურის მხრივ თვალ-ყურისა და თვით მოფენის ხარჯი გაიყოს უსახელო საზოგადოებისა და ქალაქის გამგეობის შორისო.

—

სამეურნეო საზოგადოების კრება (დასასრული). შემდეგ ლექტორი მოკლეთ შეეხო ჩვენს ქვეყანაში არსებულ კოოპერაციებს, მაგ., ოფიცრების მხარჯველ საზოგადოებებს, ამ გვარივე რკინის გზის მოსამსახურეთა საზოგადოებათ, ქართული წიგნების გამომცემელ ამხანაგობას, კახეთის მემამულეთა ამხანაგობას, გორის სინდიკატს და სხვ. ლექტორმა აღნიშნა, რომ ყველა ამ კოოპერაციების პროტოტიპი დასავლეთ ევროპის კოოპერაციებში უნდა ვეძიოთო, და რომ შესაფერ პირობებში მოქმედებდნენ ეს ჩვენი კოოპერაციებიც, უსათუოდ მათი მოქმედება უფრო ნაყოფიერი იქნებოდაო.

დაბოლოს ლექტორმა ასეთი აზრი დაასკვნა თავის ვრცელი მოხსენებიდან. კოოპერატიულ საზოგადოებებმა, როგორც ეს დასავლეთ ევროპის პრაქტიკიდანა სჩანს, დაამტკიცეს თავისი ცხოველმყოფელობა და სარგებლობა განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სფერაში. ამგვარ საზოგადოებათა დაარსება კავკასიაში, გარეშეთ დაუხმარებლად, ერთის მხრით გვიმტკიცებენ, რომ მათი საჭიროება ჩვენშიაც მომწიფდა, მეორეს მხრით, ჩვენს ქვეყანაშიაც მომზადებულია ის ნიადაგი, რომელზედაც შესაძლოა აღმოცენდეს სასარგებლო მოღვაწეობა ამ დაწესებულებებისა. კოოპერატიული დაწესებულებანი რომ უფრო სასარგებლოდ გამოვიყენოთ და უზრუნველვყოთ მათი ნორმალური განვითარება, საჭიროა გავაძლიეროთ ჩვენში კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივა, საჭიროა გამოიცეს სათანადო კანონები, რომელნიც მფარველობას უნდა უწევდეს კოოპერაციებს.

ყველა ამის მისაღწევად საჭიროა, რომ საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ უფრო პრაქტიკულ გზას დაადგეს და თავის თავზე იდოს პროპაგანდა, დაარსება და ხელმძღვანელობა ადგილობრივ კოოპერაციებისა, როგორც ეს მოიმოქმედენ დასავლეთ ევროპის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებმა. თუ ამ აზრის განსახორციელებლად საზოგადოების წესდების რომელიმე მუხლის შეცვლა დაგვჭირდება, აღიძრას ამის შესახებ სათანადო შუამდგომლობა; აღძრულ იქმნას აგრეთვე შუამდგომლობა განსაკუთრებულის საბჭოსა ან სხვა დაწესებულების საშუალებით იმის შესახებ, რომ ჰთავრობამ უფრო ახლო მონაწილეობა მიიღებინოს ჩვენს ფინანსიურ უწყებას კოოპერაციების სვებედის საქმეში. აღიძრას შუამდგომლობა იმის შესახებაც, რომ გამოიცეს სათანადო კანონები, რომელნიც აადვილებდნენ ახალის ტიპების კოოპერაციების დაარსების საქმეს, რათა ამით მიეცეს საშუალება წვრილმან მემამულეებს შეადგინონ ამხანაგობანი, რაიც ასე საჭიროა ჩვენთვის, რადგან ჩვენი მხარე წვრილმან მიწათმფლობელობის მხარეთაა განსაკუთრებით მიჩნეული.

ამ საყურადღებო მოხსენების შესახებ სჯა, რადგან უკვე გვიან იყო, გადადებულ იქმნა შემდეგ კრებისათვის, თუმცა ამავე კრებაზე მოკლეთ გამოსთქვეს თავისი აზრი ბ-ნნთ ალ. კალანთარმა, ივ. როსტომაშვილმა და ა. საკოვმა. ბ-ნ კალანთარის აზრით ბ-ნ გ. ჟურულის მოხსენება ფრიად საყურადღებო საგანს ეხება და ამის გამო ლექტორის აზრის განხორციელება დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყანასაო. ბ-ნ კალათარმა განუმარტა დაწვრილებით საზოგადოებას მრავალი კიდევ კავკასიაში არსებულ კოოპერაციების ისტორია, მაგალ., ალექსანდერგილფისა, ბორჩალოს მაზრაში, ხალების მოსამზადებელი ამხანაგობისა ნოვობაიზეთში და სხვ. ამ კოოპერაციების განვითარებას ხელს უშლიან გზებისა და ბირჟის უქონლობა, საქონლის ფასის გამოურკვევლობა და გაუმჯობესებული ტეხნიკით საქმის უწარმოებლობაო. ამიტომ კოოპერაციების ჩვენში რიგიანად წარმოებისათვის საჭიროა ჩვენშიაც განვითარდეს ყველა ის პირობანი, რომელიც დასავლეთ ევროპაში ამ გვარ დაწესებულებათა ნაყოფიერებას ხელს უწყობენ. კერძო ინიციატივას ფართო ასპარეზი უნდა დაეთმოს, უნდა შესწავლულ იქმნას ჩვენი ბაზრების პირობანი და ყველა დაწესებულებებმა მფარველობა უნდა აღმოუჩინოს ამ ამხანაგობებს, რათა მათ მოღვაწეობას უფრო მკვიდრი და ნაყოფიერი ნიადაგი მოუპოვონ. ბ-ნი ივ. როსტომაშვილი ფიქრობს კავკასიაში არსებულ აწინდელ კოოპერაციებს ვიწრული დანიშნულება აქვსო. ამიტომ ბ-ნ ი. როსტომაშვილის სიტყვით საჭიროა განსაკუთრებით სამეურნეო აზრი შედგეს კოოპერაციები. ტფილისის მახლობლად მდებარე ამ ჟამად უნაყოფო ადგილები ბევრად ხელს შეუწყობენ კოოპერაციების განვითარების საქმეს. სამეურნეო კოოპერაციები ამ უნაყოფო ადგილებს „სამოთხედ“ გარდაქმნასაც-კი მოახერხებენო. ბ-ნ ივანე როსტომაშვილს ამ გვარივე აზრით კიდევაც შეუდგენია პატარა ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს ტფილისის მახლობლად შეიძინოს რამდენიმე დესიატინა მიწა. ეს მიწა, ორატორის სიტყვით, შემუშავდება იაპონურის მიწის წარმოების წესით, და თვითოეული დესიატინა ამხანაგობას მისცემს 1000 ფუთს პურს. აგრონომმა ა. საკოვმა განმარტა, რომ დასავლეთ ევროპაში, რამდენად ეს მე ვიციო, კოოპერაციების განვითარების ხანა პირდაპირ დაკავშირებული იყო ხალხის კულტურულ განვითარების ხანასთან. კავკასიაში ჯერჯერობით ეს საიმედო ნიადაგი, ეს საიმედო საფუძველი არაა მზათ, და ამიტომ საეჭვოა ჩვენში კოოპერაციებმა ფართო ასპარეზი ამით ის-კი არ მინდა ვსთქვაო, განაგრძო ორატორმა, რომ მე წინაა-მოიპოვოს. ღმდეგი ვიყო კოოპერაციების დაარსებისა, არა, ამით მე იმას მოგახსენებთ, რომ კოოპერაციების კეთილად წარმოებისათვის საჭიროა ხალხის კულტურული განათლება და განვითარება. არსებული კოოპერაციები ინტელიგენტთა კოოპერაციებად უნდა ჩაითვალოს. გლეხს, ამ ჟამად გაუნათლებელს, ამ კოოპერაციებთან ხელი არ მიუწვდება. ცნობილი ფაქტია, რომ სოფლად ჩვენ ინტელიგენცია არა გვყავს და უამისობა-კი კოოპერაციების ვრცლად განვითარების საქმეს მეტად ხელს შეუშლის. გარდა ამისა კოოპერაციების განვითარების საქმეს ნიადაგს აცლის აწინდელი გლეხის ეკონომიური პირობანი. გლეხი ხელ-მოკლეა. გლეხს ადგილ-მამულის სიმცირე სულს უხუთავს, გლეხის ცხოვრების სალსარი ლუკმა პურის მოპოვებას ვერ გასცილებია და აბა, რა საფიქრებელია, მან რომელიმე კოოპერაციის, რომელიმე ამხანაგობის დაარსებისათვის იზრუნოს. საჭიროა ჩვენშიაც შემოღებულ იქმნას ყველა ის დაწესებულებანი, რომელიც კოოპერაციების განვითარების საქმეს ხელს უწყობს, და მაშინ ეს

ფელეტონი

ძღვნად სომხისა და ქართველ მოწინავე მოღვაწეებს

(„ნორდარი“ №№ 158, 159)

ნამდვილი ფაქტები უარ-ჰყოფს ყოველ ბრალს, რომელსაც სომხებსა სდებენ. არღუთაშვილის მოტანილი ნუსხა ცხადად გვიჩვენებს, რომ, მაგალითად, თელავის მაზრაში, სოფლებში სხვა წოდების კაცთა ხელშია $14^{18}/_{100}$ დესიატინა სამოსახლო, $361^{1}/_{100}$ დეს. სავენახე და $905^{75}/_{100}$ დეს. სახნავ-სათესი, სულ $1280^{92}/_{100}$ დესიატინა. ეს ადგილ-მამული წოდებათა შორის ასეა განაწილებული.

1) სასულიერო წოდება ჰფლობს $1^{80}/_{100}$ დეს. სამოსახლოს, $49^{24}/_{100}$ დეს. სავენახეს და 132 დეს. სახნავ-სათესს, სულ $183^{4}/_{100}$ დესეტინას.

2) არა გლეხკაცთა წოდების (სადაც ირიცხებიან სოფლად მცხოვრები ქალაქელი სომხებიც) ხელშია $18^{88}/_{100}$ დეს. სამოსახლო, $227^{15}/_{100}$ დეს. სავენახე და $395^{22}/_{100}$ დეს. სახნავ-სათესი, სულ $666^{26}/_{100}$ დესეტ.

3) დროებით ვალდებულ გლეხებს უპყრიათ 4 დეს. სავენახე $57^{5}/_{100}$ დეს. სახნავ-სათესი, სულ $61^{5}/_{100}$ დესეტინა.

4) სხვა სათემოთაგან მოსულ გლეხ-კაცებს უპყრიათ $1^{5}/_{100}$ დეს. სამოსახლო, $70^{37}/_{100}$ დეს. სავენახე და 321 დეს. სახნავ-სათესი, სულ $392^{87}/_{100}$ დესეტინა. მაშასადამე, სოფლელთა უცხო ელემენტის წარმომადგენელ კაცთა ხელში ყოფილა სულ $663^{26}/_{100}$ დესეტინა. ეს ადგილ-მამული შეძენილია კერძოდ აუქციონით, მემკვიდრეობით და ნაზითვია.

ეხლა ვნახოთ, თუ ამ რაოდენობისაგან რა არის ქალაქელ „სომხების“ ხელში. არღუთაშვილის შედგენილ ნუსხაში ამოვკრიფე და გამოჩნდა, რომ უცხოელ სომხებს უპყრიათ 240 დესეტინა სამოსახლო, სავენახე და სახნავ-სათესი რამდენსამე თავად-აზნაურს გარდა, დანარჩენი სომხები არიან ქალაქელები, რომელნიც გლეხებისათვის უცხო ელემენტს შეადგენენ.

$663^{26}/_{100}$ რომ გამოვაკლოთ 240 დეს., დარჩება $423^{26}/_{100}$ დეს. ეს $423^{26}/_{100}$ დეს. თავად-აზნაურობისა და ქალაქელების ხელშია. ამათ ადგილ-მამული დაუგირავებიათ ისევე, როგორც სომხებსაც. თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხების ხელშია $33000^{8}/_{100}$ დეს. სხვა-და-სხვა ნაირი მიწა. მაშასადამე, სომხების „წანართმევი“ ადგილ მამულის რაოდენობა დაახლოვებით 240 დესეტინა იქმნება. რამდენად სუსტია ეკონომიურად მრთელი მაზრა, რომელსაც სიმდიდრეს აცლიან, როცა სომხებს წაურთმევიათ 240 დესეტინა? უეჭველია, აზრად არა აქვს დაიცვა ის მევახშე სომხები, რომელთაც სოფლებში ბუდე გაუკეთებიათ. მაგრამ რა ექნათ, როცა ქართველს თავად-აზნაურობას, ქალაქელობას და სხვებს თითქმის ორჯელ მეტი ადგილ-მამული წაურთმევიათ გლეხებისთვის, ვიდრე მევახშე სომხებს. ველისციხისა და ურიათუბნის სოფლები, სადაც სომხობა მკვიდრობს, აქ არ ჩაგვითვლია, რადგანაც ამ სოფლელებს, როგორც სახელმწიფო გლეხებს, უპყრიათ მიზომილი ადგილები კანონის საზოგადო საფუძვლით. აი რას გვიამბობს სტატისტიკა. კაცი მეტის-მეტად უნდა უნდა წინასწარ აზრიანობდეს, რომ დაამტკიცოს, სომხები საქართველოს სიმდიდრეს აცლიანო. თელავის მაზრა მოვიტანე, როგორც მაგალითი.

თუ მევახშეობა საზოგადო ბოროტებაა, რომელიც კავკასიელის გლეხის (სომეხი იქნება, ქართველი, თუ თათარი) კეთილდღეობას ძირს უთხრის, თავის თავად იბადება საზოგადო სერიოზი საკითხი — რა ღონის-ძიებით უნდა ებრძოლოს ადამიანი ამ ბოროტებას. თვითონ რუსის კანონი, როგორც მოგეხსენებათ, დევნის მევახშეობას. მაგრამ კანონი ბევრჯერ უძლურია, რადგანაც ძლიერ ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც, ჩაერიოს კაცი კერძო ინდივიდის ოჯახობრივ ცხოვრების წვრილმან საქმეში. იმ ადამიანს, რომელსაც მოთხოვნილება აქვს, ფულიც სჭირია. ბანკებში ნდობა არა აქვს. კერძო კაცებიც აგრეთვე არ ენდობიან, რადგანაც ეშინიანთ ფული მისცენ. არიან ისეთებიც, რომ „რისკისა“ არ ეშინიათ. რამდენად დიდია „რისკი“, იმდენადვე სარგებელიც დიდია. მევახშე როცა ფულს აძლევს ისეთ კაცს, რომელსაც არც ბანკი და არც კერძოდ ვინმე ენდობა, თვითონ ექვემდებარება „რისკსა“ და ამ რისკის სამაგიეროდ თავს იჯილდოვებს დიდის სარგებლით. ეს საეკონომიო კანონია.

„ივერიის“ პატივცემული რედაქცია სცდილობს საქართველოს კეთილდღეობა აღადგინოს სომხეკის გაყრით. მე-კი სხვა აზრისა ვარ. საზოგადო ბოროტების წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა საზოგადო ძალით და საზოგადო ღონისძიებით. უნდა მოვაშოროთ ქვეყანას ის მიზეზები, რომელიც ჰბადებს მევახშეობას, ე. ი. აღვაყვავოთ სოფლად მეურნეობა და მეოჯახობა ამ სიტყვის ვრცელის აზრით. მეორედ საჭიროა კრედიტის გაიაფება; კრედიტს გავაიაფებთ მხოლოდ მაშინ, როცა სოფლის მკვიდრთათვის დავაფუძნებთ ხელმისაწვდომ ბანკებს. სოფლელი, რაც უნდა გულუბრყვილო იყოს. $20^{0}/_{0}$—$30^{0}/_{0}$ ფულს არ გამოართმევს მევახშეს, უკეთუ ღონისძიება ექმნა საჭირო დროს $6^{0}/_{0}$-ად ფული იშოვოს.

ჩვენ ვიცით ამ მხრივ ერთი კარგი მაგალითი. ბესარაბიაში ერთი სოფელია, სახელად პერესეჩენი. იმ სოფელში მევახშეებს ბუდე გაეკეთებინათ და ხალხს უწყალოდ აცლიდნენ სიმდიდრეს. მეზობლად სოფლის მემამულეებმა გრიგოლ და ივანე ბალიოზებმა, რომელნიც ერობითა და სარწმუნოებით სომხები არიან, დაიჯერეს, გლეხებს სასოფლო ბანკის დაფუძნება ეკისრათ. გრიგოლი 1896 წლამდე, სიკვდილის დღემდე, იმ ბანკის ერთ დირექტორთაგანი იყო და უსასყიდლოდ ასრულებდა თავისს თანამდებობას. ეხლა იმ სოფელში მევახშეობა თითქმის მოსპობილია. ასეც უნდა იყოს. რომელი სულელი მიჰმართავს მევახშეს და $20^{0}/_{0}$-ით ფულს აიღებს, როცა საჭირო ფულს ექვსის სარგებლით აძლევენ. სასოფლო ბანკები ბესარაბიაში, თუ არ ვცდები, ნელ-ნელა ვრცელდება, რადგანაც მათი დაფუძნება დიდ თანხას არ მოითხოვს. ამას გარდა, მათ აქვთ საურთიერთო ნდობის ხასიათი და დაარსებულნი საურთიერთო თავდებობის დასაბამზე.

კრედიტის გაიეფება — აი ყოვლის შეგნებულისა და განვითარებულის ადამიანის მიწოდება კავკასიაში. ხოლო ერთმანერთის მოძულეობით, შუღლით ვეჭვობ შესაძლო იქმნას საზოგადო ბოროტების აღმოფხვრა. „ივერიის“ რედაქციის მუქარა, როგორცა ვთქვი, სხვა არაფერია, თუ არ ქარის ტეხა ჰქვა წყალში. გაზეთი გვითითებს, თუ ერთხელ არუთინას როგორ გაუყიდვინებია ერთის აზნაურის მამული. ჯერ იმ აზნაურს, როგორათაც ბევრ სხვა ადგილის აზნაურსაც, თავის მფლანგაობით თითონვე დაუქცევია თავისი ოჯახი. ამას გარდა, ჩემთვის ჯერ კიდევ დიდი საკითხია სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკს უფრო მეტი თავად აზნაურის ქონება გაუყიდვინებია, თუ სხვა და-სხვა არუთინებს. რად იყიდება ისე ბევრი თავად-აზნაურის მამული? იმად რომ თავად-აზნაურობა უმეტეს ნაწილად მფლანგავია. მიწა უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვისაც უყვარს ის მიწა და ესმის იმისი ენა. ამას გარდა, იეფი კრედიტი მიმზიდველი და შემაცდენელი ბევრნაირად არის. როცა ადამიანს $4^{0}/_{0}$-ად შეუძლიან ფულის შოვნა და ბანკიდან აძლევენ მამულის ღირებულობის $50^{0}/_{0}$—$75^{0}/_{0}$-ს, მომავლისათვის ძლიერ ცოტას ჰფიქრობს. ერთი მიბრძანეთ, ნუ თუ შეიძლება მამულის პატრონად ჩათვლა იმ თავადის, ან აზნაურისა, რომელსაც, ვსთქვათ, 1000 დესეტინა გააჩნია და თვითეული დესეტინა ვსთქვათ ღირს 150 მ. იგი აგირავებს თავისს მამულს და ძლივს იღებს 75,000 მან. ნამდვილად იმასა რჩება 500 დესეტინა, ხოლო მეორე 500 დესეტინა ეკუთვნის ბანკსა და მამულის პატრონი სხვა არაფერია, თუ არ ბანკის მოურავი, გინდ მეიჯარე. მაშასადამე, რამდენად იეფი კრედიტი სარფაა შორ-გამჭრეტის, ხელმოჭერილის და მამულის მომვლელის თავადის, ან აზნაურისათვის, იმდენადვე იგივე იეფი კრედიტი საზარალოა მფლანგავის, ზარმაცის და არა შორ-გამჭვრეტის მამულის პატრონისათვის. მიზეზი უბრალოა. კარგი მამულის პატრონი აღებულ ფულს საქმეში აბანდებს მეოჯახობის სრულ საყოფელად და გასაუმჯობესებლად, ხოლო მამულის უვარგისი პატრონი მალე აბნევს. მამული უწინდელ მდგომარეობაში რჩება და ზედ მეტად კიდევ ვალებით დატვირთული. სხვა სიტყვა რომ მოვიტანოთ, თავის სახლს თვითონ თავის ხელითვე აქცევს. რა ბრალი აქვს აქ ბანკს, სწორედ არ ვიცი.

(შემდეგი იქნება)

პროფესორი ს. ელიაზარიანი

ჩვენი ავ-კარგი

(წერილი ქიზიყიდან)

(დასასრული*)

გვეგულებიან ქიზიყში ისეთი შეძლებულნიც, რომელთაც (თითო მათგანს) ძალიან ადვილად შეუძლიან თავიანთის ფულით ხსენებულ ტაფობს ოცი, ოც-და-ათი თუ ორმოცი ზეცისაკენ მრისხანედ ტუჩ-აბზეკილი ზარბაზნი შემოუმწკრივონ გარშემო ევლოგიის კელაპტრებივით, მაგრამ... სომხის ვაჭრის მახვილი სიტყვა: ქართვლის მდიდარს რომ ფეხები ოქროსი ჰქონდეს, თავი მოფრახისა ექნებაო — მაგონდება და სანთლის ნამწვავი-

---

*) იხ. „ივერია“ № 238.

ფრიად სასარგებლო ამხანაგობანი უეჭველად ფართო ასპარეზს მოიპოვებენ ჩვენის ქვეყნის შორეულს კუთხეებშიაც. ამ გვარ დაწესებულებად მე მიმაჩნია ერობის შემოღება ჩვენში.

ბ-ნ გ. ქურულის მოხსენების საბოლოოდ განხილვა გადაიდო შემდეგს კრებისათვის.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. ამ რამდენიმე წლის წინად ქუთაისში აღიძრა კითხვა მასწავლებელთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსების შესახებ. ჰქონდათ კრებები, სჯა-ბაასი, ამოირჩიეს კომიტეტი წესდების შესამუშავებლად. კომიტეტმა წესდების გეგმა წარუდგინა კრებას, კრებამ მოიწონა და კომიტეტსვე დაავალა საქმეს წინ გაძღოლოდა და... მეტი არაფერი. მას აქეთ 5—7 წელიწადი მაინც იქნება და არავის არ უკითხავს, რა მოუვიდა სასაზოგადოების დაარსების საქმეს, რას ნიშნავს ეს? არა გულგრილობას? წინად-კი ძალიან ბაქიბუქობდნენ... მხოლოდ ხანში აღიძრა წელს ამაზედ კითხვა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო მასწავლებელთა დიდი კრება აღარ შესდგა.

ამისთანა საზოგადოების დაარსების დიდი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. ის დაბეჩავებულ მასწავლებელს გაუმართავს ხელს არა მარტო ნივთიერად, არამედ ზნეობრივს და გონებრივს დახმარებასაც აღმოუჩენს.

დამხმარებელ საზოგადოებას წესდების ძალით (§ 16) შეუძლია თავის კასის გასაძლიერებლად გამართოს საჯარო ლექციები, აგრეთვე აქვს ნება, იქონიოს საკუთარი ბიბლიოთეკა, ესეც რომ არ იყოს, თვით ამნაირი საზოგადო საქმე მასწავლებელს შეაჩვევს საზოგადოებრიობას და ასწავლის თვით-მოქმედებას.

ნუ-თუ ქუთაისის მასწავლებელნი, ქალი და კაცი, ვერ გამოიჩენენ იმდენ ძალას, რომ საკეთილოდ დააგვირგვინონ ეს საქმე?

ინი.

—

ფოთი. აქაურ ფოსტაში დიდი უწესოება სუფევს. ფოსტის უფროსმა სამსახურს თავი დაანება და ახალი მოადგილე-კი არ დაუნიშნავთ. ვინც საქმისთვის შედის ფოსტაში, იქვე ძილი მოერევა ხოლმე, რადგან ხმის გამცემი არავინ არის. დეპეშის გაგზავნა რომ გინდოდეთ, ნახევარი საათი მაინც უნდა იცადოთ გაფუჭებულ სკამზედ... მარკას არ მოგცემენ თავის დროზედ. კალამს თავის ადგილს ვერ ნახავ და მოთხოვნაც არ შეიძლება: მოხელეები გაწყრებიან. როგორც ეტყობა, ამათის აზრით, ფოსტაში შემსვლელმა საწერ-კალამი ჯიბით უნდა ატაროს...

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე კიდევ საშიშ მდგომარეობაშია; მის მეუფებას კარს ახვევია მრავალი ხალხი.

ჩ.

—

ქსნის-ხეობა: (დუშეთის მაზრა) მგონია, არც ერთი მხარე საქართველოსი არ იქნება ისე მივიწყებული, როგორც ეს ხეობა. ეს ბუნებით უხვად დაჯილდოვებული კუთხე საქართველოსი თავისა ჭირ-ვარამით, აგ გარკვით უძლურდება და ფიანდაზად ეძლევა აქა-იქიდგან მისულ გაიძვერებს.

ქსნის ხეობა ვიწროდ და გრძლად გაჭიმულია მდ. ქსნის ორივე მხარეს. იწყება მადლის უზარ-მაზარ ტიტველა მთებით და მერე თან-და-თან ფერდობდება და ბოლოს (მოკლე მანძილზე) იშლება ველ-მინდვრებად. აქაური ბუნება მზად არის მრავალ-გვარად დაუხმაროს მცხოვრებთ, მაგრამ ორი ათასამდე კომლ გლეხ ქართველებში, რომლებიც შეჰკედლებიან ამ ხეობას, ათს ვერ იპოვით თავისუფალს, ყველას ისევ ქედი აქვთ მოდრეკილი მებატონის წინაშე.

აქაურს ბარის გლეხობას ცხოვრების სახსრად შერჩენია მამა-პაპეული გუთანი, მთის გლეხობა-კი მისდევს მეცხვარეობას. ქსნის ხეობის მატყლი საუკეთესოს ღირსებისაა; მაგრამ მწყემსები ფრიად დიდს გასაჭირში არიან საბალახოს უზომო ხარჯის გამო, ბარად თუ მთაზედ.

სოფლის ნაწარმ-ნაშრომი იყიდება სოფ. ახალგორში, ამ ერთად ერთ ქსნის ხეობის სავაჭრო ადგილას, რომელიც დასახლებულია მთლად ვაჭარ სომხებით და ხეობას, როგორც უნდათ ისე სცქლეფავენ.

ერთ მხარეს უღონო გლეხი, მეორე მხარეს ვაჭარი, მევახშე, მძარცველი, ყველა გლეხს ებღაუჭება, ყველა ამას მისევია და სწუწნის, ვიდრე სწუწნია.

მთელს ქსნის ხეობაში მხოლოდ ერთი სამინისტრო სკოლაა ახალ გორში, რომელიც თავის სივიწროვით თვით ახალ-გორელების მესამედს სურვილსაც ვერ აკმაყოფილებს. სკოლა-კი დაარსებულია საზოგადო ხარჯით მთელის ხეობისათვის.

ქსნელი.

კავკასია

ერევანი. პირველს ნოემბერს აქ ჩამოვიდა კომისია ერევნის რკინის გზის მისაღებად. ამბობენ, რომ ეს გზა ჯეროვნად არ ყოფილა მზად. კიდევ ორი კვირის ვადა მისცეს გზის გამგებს ინჟ. ვურცელს და დაავალეს, 15 ნოემბრამდე ჩააბაროს ხაზინას.

დანიშნულ დღეს გზის მიღებას უნდა დასწრებოდა გზათა მინისტრის ამხანაგი, ინჟ. მესოდოვი, რომელიც ალექსანდროპოლამდე მოვიდა და გზის მოუმზადებლობისა გამო ისევ დაბრუნდა პეტერბურგს.

ალექსანდროპოლიდან ერევნამდე რკინის გზით 144 ვერსია და ცხრა სადგური. კვირაში სამჯერ მიდის სამგზავრო მატარებელი და აგრეთვე სამჯერ მიდის. გზაზედ მხოლოდ ერთ სადგურზედ, აგინში არის „ბუფეტი“ და ცოტა-რამ საჭმელი სურსათი აქ თუ მოიპოვება, თორემ დანარჩენ სადგურებზედ არავითარი სიცოცხლის მოძრაობა არ არის. ალექსანდროპოლიდგან სარდარაბადამდე ასი ვერსია; ამ მანძილზედ გზა მიდის მთა-და-მთა და ყოვლად უნაყოფო ხმელ ქვა-ქვიშიან ადგილებზედ. სარდარ-აბადიდგან ერევნამდე ორმოც-და-ხუთი ვერსია და გზა მიდის ჭონჭყიანს ადგილებზედ.

ულუხანლის სადგური ჭაობიანს ადგილას არის. აქ ახლა დიდი მუშაობაა. აქედგან რკინის გზამ შემდეგში უნდა გაუხვიოს სპარსეთისკენ და შეუერთოს რუსეთი თეირანს.

გიგო ცხომელიძე.

რუსეთი

ისტორიულ-ეტნოგრაფიულის კომისიის ებრაელთა შორის განათლების გამავრცელებელ საზოგადოების“ კრებაზე, 30 ოქტომბერს, ბ-ნ პოზნერმა წაიკითხა მოხსენება: „ებრაელები რუსეთის სასწავლებლებში. ისტორიული მიმოხილვა“. ალექსანდრე პირველის მეფობის პირველ ნახევარში მთავრობა სცდილობდა ებრაელების განათლებას და მათს რუსეთის მცხოვრებლებთან დაახლოებას. 1804 წ. გამოცემული დებულება ებრაელთა შესახებ, ანიჭებდა მათ უფლებას შესულიყვნენ რუსეთის ყველა დაბალს, საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში, და უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ებრაელებსაც ისეთი უფლება მიენიჭებოდათ, როგორც რუსებს. მაგრამ ალექსანდრე I-ლის მეფობის მეორე ნახევარში და ნიკოლოზ I-ლის მეფობის დროს, 1825 წლამდე დგება სარწმუნოებრივ-რეაქციონური ეპოქა; 1825 წ. შემდეგ კი—პოლიტიკურ-რეაქციონური, ორი უმთავრესი მომენტი ამოძრავებს მაშინდელს საშინაო პოლიტიკას—წოდებრივ-ბატონ-ყმური და ეროვნულ-სახელმწიფოური: მთავრობა სცდილობს დაბალ და მაღალს სასწავლებლებს წოდებრივი ხასიათი მისცეს; დაბალ წოდებათათვის უმაღლესი სასწავლებლის კარები დაკეტილია. მთავრობა სცდილობს აგრეთვე სხვა-და-სხვა ეროვნებანი რუსეთს დაუმორჩილოს სარწმუნოების მხრივაც. აარსებენ სამასიონერო სკოლებს ებრაელთა მოსაქრისტიანებლად, რომელსაც აზრად ჰქონდა „ტალმუდის მოძღვრებასთან ბრძოლა“. მაგრამ ამგვარმა პოლიტიკამ სასურველს ვერ მიაღწია. მესამოცე წლებში პოლიტიკამ უფრო კაცთ-მოყვარული ხასიათი მიიღო სხვა-და-სხვა ეროვნებათა მიმართ. 1853 წ. ებრაელთა მოსწავლე 1,4% შეადგენდა რუსეთის სასწავლებლების ყველა მოსწავლეთა. 1863 წ.—2,59% და 1873 წ. კი—13,2%. მე-70 წლებში ისევ იწყება რუსეთში რეაქცია. სახალხო განათლების სამინისტრო ჰგზავნის ათას გვარს ცირკულიარს, რომ სრულიად შემცირდეს დაბალ წოდებათა მაღალსა და დაბალს სასწავლებლებში მიღება.

უცხოეთი

ინგლისი. ჰააგელი კორესპონდენტი გაზ. „New Uouk Herald“-ისა შემდეგს იუწყება ლორენცო-მარკეზს შესახებ.

„ეხლა, როდესაც ამდენს ლაპარაკობენ როგორც ჰოლანდიის, ისე უცხოეთის გაზეთები ნავთ-სადგურ დელაგოას შესახებ, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველებს გავუზიარო მეტად საგულისხმო აზრი ერთის ლისაბონელისა, რომელმაც ზედ-მიწევნით იცის პორტუგალიის საპოლიტიკო საქმეები.

ოთხის წლის წინადაო—მითხრა ამ კაცმა—წორედ იმ დროს, როცა ყველას ეგონათ ინგლისისა და გერმანიის ურთი-ერთობა მეტად გამწვავებულიაო, სრულიად მოულოდნელად გავარდა ხმა, ინგლისმა და გერმანიამ საპოლიტიკო ხელშეკრულობა დასდესო.

მე-3 მუხლი ამ ხელშეკრულობისა, ყველაზედ უფრო დიდ-მნიშვნელოვანი, საიდუმლოდ დარჩა; არავინ არ უწყოდა მისი შინაარსი, თუმცა ათასი ნაირ-ნაირი მოსაზრება იყო გამოთქმული.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ ორ დიდ სახელმწიფოთა განზრახვა ჰქონდათ პორტუგალიის საკუთრება აღმოსავლეთ-აფრიკის ადგილები ერთმანერთში გაენაწილებიათ. არც პორტუგალია და არც გერმანია იმდენად მომზადებული არ იყო, რომ ეს ამბავი გაემჟღავნებია. მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ გერმანია არაოდეს არა ჰკარგავდა ლორენცო-მარკეზს ხელში ჩაგდების იმედსა.

ეხლა რას უნდა მოველოდეთ? გერმანია დაეპატრონება პორტუგალიის სამფლობელოს ჩრდილოეთით ბეირუტამდე, რომლის დიდი მნიშვნელობა ცხადად დამტკიცდა ბურ-ინგლისელთა ომის დროს.

დიდი-ბრიტანია მიიღებს დანარჩენ ნაწილს, რომელშიაც ნავსადგური დელაგოაც მოჰყვება. ამგვარად ინგლისი შეიძენს კიდევ ერთ საუცხოვო ადგილს სამხრეთ-აფრიკაში.

მხოლოდ ერთი-რამ არაა ჯერ გადაწყვეტილი: ამ ადგილებს ინგლისი და გერმანია იყიდიან, თუ ისე ჩაიგდებენ ხელში, როგორც მაგ., ეგვიპტე საფიქრებელი-კია, რომ იყიდონ. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ შარშან პორტუგალიის ფინანსთა მინისტრმა განაცხადე,—1902 წელს იმედი მაქვს შესამჩნევად განვაძლიერო სახელმწიფო შემოსავალიო.

ჯერ კიდევ არავინ იცის, რა ფასს გაიღებენ ინგლისი და გერმანია. მხოლოდ ეჭვს გარეშე, რომ მაინც და მაინც ძვირად არ დაუჯდებათ.

ინგლისმა გეგმაც-კი შეიმუშავა ნავთ-სადგურების გაუმჯობესობისა. მისი კაპიტალისტები მზად არიან, რომ დროით გადასწყდეს ეს საქმე და ბარემ შეუდგნენ ნავთ-სადგურების შენებას.

შეიძლება იკითხოს ვინმე—რად ინახავდნენ საიდუმლოდ ამ ამბავსაო? მიზეზი სულ უბრალოა. განა არ გახსოვთ, როგორ ჰკიცხავდა გერმანიის გაზეთობა ჯერ კიდევ სამხრეთ-აფრიკის ომის დროს ინგლისსა, თუმცა იმპერატორი ვილჰელმ მე-II ხშირად უკმაყოფილებასაც აცხადებდა იმის გამო. მაშინ გერმანიაში არ იყო მომზადებული ნიადაგი იმისათვის, რომ გამოეცხადებიათ—ინგლისმა ლორენცო-მარკეზე უნდა დაიფლოსო. საჭირო იყო უფრო მეგობრული განწყობილობა ამ ორ სახელმწიფოთა შორის. ეს იყო პირველი მიზეზი.

მეორე მიზეზი ის გახლდათ, რომ, სანამ პორტუგალია აღმოსავლეთით საზღვრავდა ტრანსვაალს. ინგლისს არავითარი შიში არა ჰქონდა ამ მხრივ და საჭიროც არ იყო მათ საზღვარზე ჯარები ჩაეყენებია; რომ ის ადგილები ზემოხსენებულ ომის დროს ინგლისელების ხელში ყოფილიყო, მაშინ იძულებული გახდებოდა დიდ-ძალი ჯარი ჩაეყენებია შიგ, რადგან მოსალოდნელი იქნებოდა, რომ ბურები ოკეანის ნავთ-სადგურის ხელში ჩაგდებას მოიწადინებდნენ.

ამ ჟამად პორტუგალიის მეფე დონ-კარლოსისა და გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ მე-II-ის ინგლისში მოგზაურობას, უეჭველია, შედეგათ ის მოჰყვება, რომ ზემოხსენებული მე-3 მუხლი, დღემდე საიდუმლოდ დაცული, გამოქვეყნდება, და ინგლისის უუვრცელეს სამფლობელოს კიდევ მიემატება ერთი საუკეთესო ადგილი სამხრეთ-აფრიკაში.

სამხრეთ-აფრიკა. გაზ. „Daily Telegraph“-ი ამბობს, სამხრეთ-აფრიკიდან ძალიან საშიში ხმები მოდისო. ტყვეობიდგან განთავისუფლებული ბურები, როდესაც სამშობლოში ბრუნდებიან, ისეთს საცოდავს მდგომარეობაში სცვივიან, რომ კაცის ენა ვერ აღწერს: ეძებენ და ვეღარ ჰპოულობენ ცოლებს, შვილებს და სხ. ნათესავებს, რომელნიც აქ დაუტოვებიათ. ვერ პოულობენ თავშესაფარ ბინას, მათი სახლკარი მიწასთან არის გასწორებული. რასაკვირველია, მათი გული ინგლისისადმი უმწვავლესის მტრობითა და სიმძულვარით ივსება; მათ სწყურიათ სისხლი თავიანთ დამღუპველ-განმანადგურებელთა; ღრმადა აქვსთ გულში ჩამარხული ის აზრი, რომ დაუნდობლად სდევნონ და სისხლი იძიონ ბარბაროს ინგლისელებისაგან. ტრანსვაალისა და ორანჟეს ეროვნული საგალობელი, რომელშიაც მხედარნი შესთხოვენ შემოქმედს, თავისუფლებისათვის მებრძოლთ მფარველობას, არამც თუ მარტო ამ ახალშენში ისმის, თვით კაპშტადტის სოფლებშიაც-კი ეროვნულ ჰიმნად გარდაიქცა.

ოსმალეთი. როგორც უკანასკნელი წერილებიდანა სჩანს, მოძრაობა მაკედონიაში უფრო და უფრო ძლიერდება. ის ოლქებიც, რომელთაც აქამდე არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ამბოხებაში, დღეს სულ ერთიანად აჯანყდნენ და ძველ მეამბოხეებს შეუერთდნენ.

ოკტომბრის 19-საო, ამბობს სოფიის „დნიური“,—5½ საათზედ მეამბოხეთ იერიში მიიტანეს ოსმალთა სიმაგრე „ფეკირ-ჩუკ“-ზედ. მოწინავე რაზმად ხუთი მეამბოხე გაგზავნეს. მათ ორას ნაბიჯის მანძილზედ მისდევდა გენერალი ცონჩევი ერთის მეამბოხით. დანარჩენი მეამბოხენი, რომელთაც პოლკოვნიკი ნიკოლოვი უფროსობდა, კარგა მოშორებით მიჰყვებოდნენ. როდესაც ცონჩევი კლდის ფერდობზედ მიდიოდა პატარა ბილიკით, ჩასაფრებულმა ოსმალებმა შეჰნიშნეს და დაუშინეს თოფი, გენერალი დაიჭრა, მაგრამ არ მიაქცია ყურადღება ჭრილობას, რომლიდგან ნაკადივით მოსჩქეფდა სისხლი, მიეფარა ერთს ნაპრალს და თოფითვე მისცა პასუხი ოსმალებს. პოლკოვნიკი ნიკოლოვიც მალე მოეშ-

---

ვით მიქრება იმედი. მაშინ, როდესაც სხვა ეროვნების მდიდრები ს თუმნობით, ათას თუმნობით და მილიონობით სწირავენ საზოგადო საქმეებს თავიანთ სამშობლო ქვეყნის წარმატებისათვის, სწორედ ამ დროს ჩვენი „მაფრახის თავიანი“ შეძლებულები ძალზე დამშეულ მგელ-კაცებივით აცეცებენ თვალებს აქეთ-იქით: აცა, საიდამ გამოჩნდებიან ბეჩავი ცხვრები, რომ ფეთიან კელასავით ვეძგერნენ ყანყრატოების გამოსაგლეჯათ და დუმების მოსასვლეპათოო! ან არა და, ცხრა-კლიტულში მიმალულ ფულებს უმოქმედოდ აობებენ და აჟანგებენ და სახელმწიფო ბანკშიაც-კი არ შეაქვთ თავიანთ უვიცობის გამო. აი რა ზნე-ჩვეულების მდიდრები გვყვანან სოფლებში ქართველთა „საბედნიეროდ“ ..

მაგრამ მახსენდება ისიც, რომ გვყვანან ქიზიყელებს შეძლებულნი და შეგნებულნი ქიზიყელებიც და გულში ჩამქრალი იმედი იმედის ნაპერწკალითვე მიღვივდება ცივკვერა მჭედლის ქურასავით. ასეთი შეძლებული და შეგნებულები გვყვანან და იმედია ქიზიყელების დიდძალ ჭირნახულს ახლა სეტყვის გამქარწყლებელ ზარბაზნებს მოუვლენენ, როგორც თელავის მაზრაში სოფელს რუისპირსა და არტოზანს თავად რევაზ გრიგოლის ძე მაყაშვილმა მოუვლინა ასეთი ზარბაზნები და მით დაიხსნა მოსავალი განადგურებისაგან და სამახსოვროდ გაახარა მრავალნი მცხოვრებნი და ამასთანავე წაახალისა ასეთივე მორტირების მოსატანად მეზობლად მყოფი ექსი სოფელიც. (იხ. ამ სენის შესახებ შუამთის მონასტრის მღვდელ-მონაზონის მამა ტარასის წერილი „ივერია“-ში № 181).

ნუ დაივიწყებთ, რომ როდესაც ხალხს სეტყვის შიში აღარ ექნება სეტყვის გამქარწყლებელ ზარბაზნების წყალობით, მაშინ ერთი ათად იმატებს, გაფართოვდება და გაძლიერდება ხალხის შემნახველ-დამმარხველი მეურნეობა-მრეწველობა. მოგეხსენებათ, რომ თითქმის ყოველ-წლივ სეტყვა ჰლუპავს კახეთ-ქიზიყს, და დასეტყვილი ვაზი და ხეხილი ხომ სამს წლამდისაც ძლივს-და მოვარგდება ხოლმე, თუ-კი მეორე წელიწადსაც არ ჩარეგვა და დედამიწასთან არ გაასწორა სეტყვამ და მამულის შესამუშავებლად მამასისხლად აღებული ვალი თავის საარაკო „ნეუსტოიკა“-ჯარიმებით კისერზედ მეხივით არ დაატყდა ცარიელ-ტარიელად დარჩენილს საბრალო მეურნეს.

— შე კაი კაცო, თუ-კი დაჭეშმარიტებით მეცოდინება გულ-დაიმედებულს, რო ბალთამანი სეტყვა ველარ გამინადგურებს ჭირნახულს, ურის ვალში ჩავცვები, თავს დავიგირავებ, ცოლ-შვილს უკანასკნელ ლუკმასაც გამოვწირავ და ქვაზედაც-კი ედემ-ბაღს ავაშენებ ოჯახის ფეხზე დასაყენებლადო; ამას გეტყვით დღეს მეურნე გლეხიც, თავადიც, აზნაურიც, მღვდელიც, ბერიც, ჩინოვნიკიც, ვაჭარიც და ხელოსანიც. **მაშასადამე, ჩვენმა სამეურნეო-სამრეწველო კომიტეტებმა უპირველესი ადგილი მორწყირების რამენაირად ადრე და მალე გავრცელებას უნდა დაუთმოს თავის „სამკურნალო კარაბადინებში“ ქვეყნის მაცხოვრებელ მეურნეობა-მრეწველობის გასაძლიერებლად.** მაგრამ... დალოცვილი „ხვალ“ ბოლომოუღებლად გაგრძელდება ხოლმე, გაზაფხული-კი მალე დადგება და ამოდენა ცოდვილ ხალხისაგან გამეხებული ცა კიდეც „თეთრ ტყვია-საფანტის“ დაშენით ტყავს გაგვაძრობს და მთავარ სულს ამოგვხდის.

ფლავის ნატრულს მკვდარ ალიას კუბო ფლავით აუვსესო, და რადგანაც ჩვენ სიკ დილის შემდეგ ფლავს ველარ გიახლებით, ამიტომაც ქიზიყელებისათვის საშვილიშვილოდ სამახსოვრო სიხარულის დღე იქნება ის დღე, რა დღესაც ვინმე უმახარობლებს ქიზიყელებს: აბა, ძმებო და მეზობლებო, ეხლა-კი დროა ნამძინარევი თვალები მოვიფშვნიტოთ, ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ ჩვენც სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლასაო.

დიდი საქმეა ფუტკრის ყოლივით ნაბღარტ მომავალ თაობის შემნახველ ჭირნახულის ყოველ წლივ უვნებლად გადანარჩუნება და ამიტომაც სიამოვნებით დამღერებენ ფანდურაზედ თავიანთ მხსნელთა მუდამ-საგონებლად და ტკბილად სახსენებლად ამ სიტყვებს:

ამ ქვეყნად კუბოს კარამდე
გულით დაგლოცავს ყველაო,
იქ უფალს მოახსენებენ:
ეს იყო ჩვენი შველაო!

—

ხშირად გაიგონებთ მდაბიო ხალხის სევდიან ღიღინში შინ თუ გარეთ, მთაში თუ ბარში ამ ძველებურ სამადლობელ ლექსს:

შეგერგოს ძუძუ ნაწოვნი
და მშობლის ტკბილი ნანაო,
დედამ რო შვილი გაზარდოს—
ემაგრე შენისთანაო!

მაგრამ ვაი, რომ აღარა გვყვანან ყველაში დაბედშავებულებს სანაქებო დედები და აბავინღა გაუზრდის „მამულს დაობლებულს“ სანაქებო შვილებს საგმირო საქმეებისათვის, სამშობლო ქვეყნის სასახელოდ და სადიდებლად.

დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო; როგორიც გყვანდა დედაო, შენც ისეთი ხარ ქედაო; ხემა დაისხა ხილიო, რაც დედაა, ის შვილიო. ხომ მოგეხსენებათ და მართლაც კაი სანაქებო ღვინო თუ გვინდა, ტლოყთავკვერა და ძაღლიარჴმა-კი არა, ნაზი-ნარნარი საფერავი და რქა-წითელი უნდა მოვაშენოთ, და კაი შვილები თუ გვინდა, ჯერ კაი დედები უნდა „მოშენდნენ“ და აღიზარდნენ ჩვენი ყოფა მდგომარეობის შესაფერი სწავლა-მეცნიერების ძუძუთი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ეს უბრალო ჭეშმარიტებაც ვერ შევიგენით ყველამ სავსებით, რის გამო დღესაც გაყინულია და გაფსულია კუტას მოშლილ წისქვილივით ქართველთა ქალთა წესრიგიანი სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენი სამარცხვინო სივაგლახით და უგამჭრიახო ჩალფაჩუნობით.

ვაი სირცხვილო! ეხლანდელი დედა ქართვლისა თავის ძუძუთა „ვარდის-კონას“ პოეტის ამ ნანინას-კი არ უღუღუნებს უმანკო მტრედივით:

„ჩემის მამულისათვის
მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისის სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ!..
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შეჰრგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაჰზარებია!..

და ამის ნაცვლად ყოვლად-უნიჭო ქალალდი ჩხაპია ტრედიაკოვსკებისა და პოლ-დე-კოკების აჭია-ბაჭიას, აბდა-უბდას და გადასკუპდას დასჩხავის!.. არა, უგუნურ „a la made“-თი ჩვენს საუკუღმართოდ გადაგვარებულს დედებს თვით იესო-მაცხოვარიც ვერ „გადმოაგვარებს“ და ეს-ღა დაგვრჩენია პოეტის ამ სამგლოვიარო სიტყვით-ღა ვივაგლახოთ უბედურმა შვილებმა: „ვაი საბრალოს ჩვენს საქართველოს, ჩვენ დავებადეთ მას შესარცხვენად“!..

დიაღ, ისევ ჩვენ, შვილებმა უნდა ვიტიროთ და ვივაგლახოთ დედის ცოდვა, თორემ ჩვენი დღევანდელი თმა-გრძელი და ჭკვა-მოკლე ჩიტირეკია დედები აინუნშიაც არ იგდებენ ჩვენს სამარცხვინო არარაობას. თუ მე არ ვიქნები და ჩემი ახალ მოდის ტანსაცმლები და ბალ-ვეჩერები, ქვა-ქვაზედაც ნუღა იქნებაო, აი დღევანდელ ჩვენთა დედათა უმრავლესობის მტკიცე შეურყეველი დევიზი და ერთად-ერთი საზრუნველი და საყვარელი საქმენი საგმირონი...

კიდევ ღმერთია მოწყალე კაცისა დაკარგულისაო, და მართლაც ღმერთი არა ჰკარგავს ღვთის-მშობლის წილ-ხვედრს, მრავალტანჯულსა და წამებულ საქართველოს და კიდევ მოეპოვება ცოცხლებში ისეთი სანაქებო ღირსეული შვილები, რომელნიც დიაღაც ღირსნი არიან ხალხის ქებისა. ამ საქებურ შვილების რიცხვში ითვლება ჩვენი ცნობილი ქველმოქმედი და სამშობლო ქვეყნის წარმატების ხელის შემწყობი ბ-ნი დ. ზ. სარაჯიშვილიც.

მისი ახალი ფირმა კახურ ღვინოების აღებმიცემობისა სწორედ რომ მცველ-მფარველად მოევლინა ანწუხელ ჩარჩ-მიკიტნების ხელში ჩავარდნილ კახელ-ქიზიყელ მევენახეთ. უეჭველია, რომ ბ-ნ სარაჯიშვილის ეს ახალი საქმე დიდს გზასა და ბაზარს გაუხსნის სახელგანთქმულ კახურ ღვინოს შინ თუ გარეთ, მთელ რუსეთის იმპერიაში და მით დაეხმარება კახეთ-ქიზიყის მაცხოვრებელ მეურნეობა-მრეწველობის გაძლიერებას ხალხის ქონებითა და გონებით წარმატებისათვის.

კახეთ-ქიზიყის მევენახობას, გარდა სეტყვის გამქარწყლებელ ზარბაზნებისა და ღვინის სახეირო დუქან-ბაზრებისა, კიდევ ბევრი რამ სხვა სიკეთეც ესაჭიროება თვალსაჩინოდ წარმატებისათვის და ამ საჭიროებათა მრავალგვარ განსაცდელისაგანაც ხსენებულს ფირმასვე შეუძლიან დაიხსნას და დაიფაროს კახეთ-ქიზიყის მევენახენი.

—

რაღა თქმა უნდა, რომ მარტო მევენახეობა არ აცხოვრებს კახეთ-ქიზიყის ოთხის მაზრის ორას ათას (200,000) სულამდე მცხოვრებს, გარდა მევენახობისა, მილიონების დიდძალ სხვა-და-სხვა სამეურნეო-სამრეწველო წარმოებასაც მისდევენ კახელ-ქიზიყელნი, რომელთაც სხვა ბევრნაირი გასაჭირიც ადგიათ თავს ქვეყნის ქონებრივად და გონებრივად წარმატების გამაუკუღმართებელი და შველა ეჭირვება დაუხანებელი. კახეთ-ქიზიყის მეურნეობა-მრეწველობის უმთავრესი გაჭირვებანი, ამ გაჭირვებათა დამბადებელი მიზეზები და მათის მოსპობის საშუალებანი მე უკვე მოგახსენეთ შეძ-

ველა და ერთად მიეტევნენ ოსმალებს, რომელთაც დასტოვეს სიმაგრეები და თავზარდაცემულებმა „ფეკირ-ჩუკ“-ს მიაშურეს. მეამბოხენი მიუხდნენ ამ სიმაგრესაც და ერთის საათის ბრძოლის შემდეგ მეამბოხეთა დროშამ ამაყად იწყო ფლიალი ოსმალთაგან უპატრონოდ მიტოვებულ ციხეზედ.

ოკდომბრის 21-ს, სისხამ-დილით, 500 კაცისაგან შემდგარმა ოსმალთა რაზმმა, სხვა პატარა რაზმებთან ერთად, ჯუმაიდან „ჩათალ-თეპესაკენ“ გასწია. ამ სიმაგრეში თავი შეემაგრებინა 10 მეამბოხეს. ოსმალებმა მიიტანეს მათზედ იერიში, მაგრამ მეამბოხენი მტრის სიმრავლემ ვერ შეაშინა: იგინი მშვენივრად იყვნენ დაფარულნი ლოდებითა და კლდეებით; ოსმალთაგან შეტყორცნილი ტყვია მხოლოდ ქვასა და კლდეს ხვდებოდა, მეამბოხეებს-კი სრულიადაც არ ეკარებოდა. სამაგიეროდ საფარიდგან გასროლილი ერთი ტყვიაც-კი არ იკარგებოდა. საღამოს ჟამს მეამბოხეთა უმთავრეს ბანაკიდან ანიშნეს მებრძოლ მეამბოხეებს,—თავი ანებეთ სიმაგრეს და უკან დაიხიეთო, იგინიც ასე მოიქცნენ. მათ შორის ერთიც-კი არავინ დაიჭრა ამ უთანასწორო ბრძოლის დროს.

მეორე დღეს, ოკდომბრის 22-ს, ბრძოლამ იფეთქა ბისტრიცის მიდამოებში. მთელი დღე ძლიერი თოფის სროლა იყო ორსავ მხრიდან. ოსმალები ერთ მეამბოხეთა რაზმს გარს შემოეხვივნენ და შუაში მოიმწყვდიეს. ამ რაზმმა, რომელიც სულ 25 კაცისაგან შესდგებოდა, დაღამებისას ყუმბარების სროლით გაარღვია ოსმალთა ჯარი და გავიდა სამშვიდობოზე სრულიად დაუზიანებელი.

ნაღბიანმა ყუმბარებმა საშინლად არივდარია და შეაშინა ოსმალები: მათ სრული უარი განაცხადეს ოფიცრების ბრძანებაზედ, რომლებიც აიძულებდნენ მეამბოხეთა დადევნებას. ამასობაში მეამბოხენი მთებში შევიდნენ.

მდ. სტრუმის მარჯვენა ნაპირზედ ყოჩაღად მოქმედებს ხუთი რაზმი მეამბოხეთა. იგინი კარგა ხანი მონაწილეობას იღებენ ბრძოლაში და ყოველთვის გამარჯვებულნი რჩებიან. ზოგ ადგილებში მკვიდრნი ოსმალნი დაემორჩილნენ მეამბოხეებს. მეამბოხენი მეტად ლმობიერად ეპყრობიან მშვიდობიანად მცხოვრებ ოსმალებს. ერთი მაგალითიც არ ყოფილა, რომ მეამბოხეებს ძალადობა ეხმაროთ, ან სხვა რაიმე უმართებულობა ჩაედინოთ მეამბოხეებს მშვიდობიან ოსმალთა შესავიწროებლად.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

„როგორც მოსვალ სვინაო,—ისე წასვალ შინაო“ სცენები ა. ცაგარლისა და „არც აქეთ არც იქით“ ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი. ეს ახალი პიესა არაფერს მიუმატებს განსვენებულის დრამატურგის სახელს, რადგანაც ბევრად ჩამორჩება მის წინანდელ ნაწარმოებთ. მასში ახალი არა არის რა და თვით ბუნებრივი, ნაკვესივით ნაპერწკლოვანი იუმორი დრამატურგისა ამ სცენებში მოისუსტებს. ამ ნაწარმოებში ჩვენ ვხედავთ მკრთალ აჩრდილთ ა. ცაგარლის წინანდელის პიესების გმირებისას, მაგალითად, აკოფას, ხანუმას და სხვებისას. პიესის საგანიც ძველის ძველია: განათლებული ყმაწვილი კაცი ირთავს მდიდარ, მაგრამ გაუნათლებელ ოჯახის ქალს, რაღა თქმა უნდა ფულის კულისათვის, ამავე დროს სხვა ქალსაც ატყუებს და ამის გამო ოჯახში დიდი უსიამოვნება დატრიალდება. ბოლოს ავტორს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ პატიოსნება მაღლა სდგას განათლებაზეა და რომ ეს პატიოსნება მდაბიო ხალხში უფრო ძლიერია, ვიდრე ჭკუა-გონება გაწვრთნილ ადამიანთა შორის. პიესაში ზურნაც იღებს მონაწილეობას ლეკურსაც და კინტოურსაც, რასაკვირველია, თავისი შესაფერი ადგილი აქვს დათმობილი, როგორც თითქმის ყველა ქართულ პიესაშია ხოლმე.

ქართველმა არტისტებმა ეს სცენები კარგად წარმოადგინეს, წარმოადგინეს ისე, როგორც ყოველთვის წარმოადგენენ ხოლმე იმისთანა პიესებს, რომლის გმირნიც ჩვენის ქალაქის მოვაჭრეთა წრეს ეკუთვნიან.

ბ-ნი აწყურელი გიჟ ნიკოლას როლში თვით განხორციელებული ცხოვრება იყო; იგი როლს-კი არ თამაშობდა, არამედ მოქმედებდა, ლაპარაკობდა ისე, როგორც მოქმედობს და ლაპარაკობს ცხოვრების სცენაზედ თვით ნიკოლა.

ვისაც-კი გაბუნია-ცაგარლისა უნახავს ქალაქურ დედაკაცის როლში,—ის ადვილად წარმოიდგენს, რამდენად მხატვრული იქნებოდა მისი თამაშობა თალალას როლში და სწორედ ასეც იყო. მხოლოდ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: დიდი შეცდომაა, ჩვენის აზრით, რომ მსახიობი ქალი მეორე მოქმედებაში მღერის და ისიც „მტრედო“-ს თუ „გვრიტო“-ს (კარგად აღარ გვახსოვს). ჯერ ერთი თალალას მდგომარეობას სრულიად არ შეჰფერის ამ პიესაში სიმღერა და მეორეც განსაკუთრებით მტრედზე და გვრიტზე.

ბ-ნი ვ. გამყრელიძე ტიპიური სირაჯი იყო; სამწუხაროდ, როლი მეტად უმნიშვნელო ჰქონდა.

ბ-ნნი სვიმონიძემ და რომანიშვილმა სრული ღონე-ძიება იხმარეს, რომ ცოცხალ-ადამიანთ ჰგვანებოდნენ თავიანთ უფერულ როლებში და, თუ ვერ მიაღწიეს საწადელს, ეს იმათი ბრალი როდია.

ქ-ნმა რიონელმა ალბად არ იცის თავალსაჩინო ნაკლულოვანება თვისის ხმისა, თორემ ეცდებოდა დაბალ ფარდებში ლაპარაკს. მერე ვისი მოვალეობაა მიახვედროს მსახიობი ქალი ამ ნაკლულევანებას?..

თუმცა საერთო ელფერი ამ წარმოდგენისა კარგის იერისა იყო, მაგრამ მაინც რაღაც მწვავე ტკივილი ჩაგვრჩა გულში და შემდეგი კითხვა მოსვენებას არ გვაძლევს: ნუ-თუ ჩვენი მსახიობნი, რომელნიც ასე ფრთა-გაშლილობას გრძნობენ ზემოხსენებულ პიესის მსგავს ნაწარმოებში,—იჩენენ ნიჭსა და უნარს,—ვერ მიაღწევენ განვითარების იმ წერტილამდე, რომ შეიძლონ ასევე სხარტად, ასევე ბუნებრივად დაგვიხატონ ხელოვნების უფრო ფაქიზი გამომეტყველება, გრძნობათა მეტი სიდიადე და ადამიანთა დიდბუნებრივანობა? ნუ-თუ ხანუმა, ნიკოლა, აკოფა ის ჯადოსნური წრე-ფარგალია, რომელსაც ჩვენი მსახიობნი ვერ გადააბიჯებენ? ნუ-თუ ევროპის ეხლანდელ დრამატიულ ნაწარმოებთათვის ჩვენის ხელოვნების ტაძრის კარები მუდამ დახშული უნდა იყოს? ნუ-თუ... მაგრამ ამ „ნუ-თუს“ განა დასასრული აქვს?

„სცენების“ შემდეგ ითამაშეს: „არც აქეთ არც იქით“. არ გავიმეორებთ იმას, რაც არა ერთხელ გვითქვამს ბ-ნ აბაშიძის შესახებ აქტიორ ტარასი მშიერიძის როლის აღსრულების გამო. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს თამაშობა ტეხნიკის მხრივ მთელი სკოლაა ახალგაზდა მსახიობთათვის. მათ უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება იმ სცენას, როცა ტარასი გაჩუმებულია და ვარდყინჩაძე ლაპარაკობს; ამ დროს ბ-ნ აბაშიძის სახის მოძრაობა იმდენად მრავალფეროვანია, მჭევრ-მეტყველი, რომ ვერავითარი ბასრი სიტყვა ვერ შეედრება.

მშვენიერი რამ იყო ბ-ნი რომანიშვილი მეწაღის ბიჭის როლში. საუცხოო გრიმი ჰქონდა და საუცხოოდ სთქვა ის ორიოდე სიტყვა, რომელიც სათქმელი ჰქონდა.

წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

წერილი

რედაქციის მიმართ.

გულითად მადლობას ვუცხადებ იმ ქუთაისურ სემინარიელებს, რომლებმაც, გაიგეს-რა ჩემი შევიწროებული მდგომარეობა ქ. იურიევში, 55 მ. და 90 კ. გამომიგზავნეს.

სტ. გრიგორი გიორგაძე.

„ივერიის“ ფოსტა:

ჯიათურა. რუშასპირელს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 ნოემბერი

ხარკოვი. სამხრეთ რკინის გზებზედ თანდა-თან უფრო მეტი ტვირთი ბანდება.

ლონდონი. გერმანიის იმპერატორმა გრძნობიერის კმაყოფილებით აღნიშნა თვისი ინგლისს მისვლა.

ტულონი. დღეს სამმა გემმა მაროკკოს წასვლის ბრძანება მიიღო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ლორდ კრანბორნმა გამოაცხადა, ბრიტანიის ელჩი ტანჯერში არ ფიქრობს, რომ მაროკკოში წესიერება მეტისმეტად დაარღვიოს, ხოლო მთავრობა აპირობს გაგზავნოს გემები ინგლისელთა სიცოცხლისა და ქონების დასაცველად.

პარიჟი. სენატის კომისიის მომხსენებელმა შესახებ ორის წლის სამხედრო ბეგრისა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ კანონი სამხედრო ბეგრისა აღსრულებულ იქნება მოსაწვევად ჯარში გასასვლელთა ოკდომბერს 1904 წელსაო.

ათინა. ზოგიერთი ბოლგარელი, ოსმალთა შიშით საბერძნეთის მიწა-წყალზე გადასული დანებდა ბერძენთა მთავრობას.

სტამბოლი. ბოლგარიის მიჯნაზე-მდგომს ველს უფროსებს ეწვა ირადე, რომ ბრბოთაგან ქვეყნის გაწმენდის დროს ფრიად კეთ მოუვარულად მოიქცეთო.

ბენგელს, სოლუნის ოლქს, ბერძნების ოჯახი ამოწყვიტეს ბოლგარიის კომიტეტის წევრებმა.

სამხედრო სამინისტრომ განკარგულება მოახდინა დაითხოვონ 16 ბატალიონი რედიფი, სამარ ფეხზე დაყენებული აჯანყების გამო.

პეტერბურგი. კადაწყვეტილია მომავლის წლიდგან შეუდგნენ რკინის გზის გაყვანას პეტერბურგიდგან პეტროზავოდსკამდე და ერევნიდგან სპარსეთის მიჯნამდე და აგრეთვე ბალტიის გზის სადგურ კეგელიდგან გაპსალამდე.

აღძრულია შუამდგომლობა დასაარსებლად სახელოვნო-სამრეწველო სასწავლებლისა ვილნოს, ანტოკოლსკის სახელობაზე.

პეტერბურგი. ოდესაში 23 ოკდომბრიდგან 5 ნოემბრამდე შავი ჭირით ავად არავინ გამხდარა.

8 ნოემბერი

პეტერბურგი. 26 ოკდომბერს კიევის საოლქო სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ხარკოვის გუბერნატორის მოკვლის განზრახვისა და გიდაუწყვიტა დამნაშავეთ ყოველისავე ღირსების აყრა და ჩამოხრჩობა. თავად ობოლენსკის უქვეშევრდომილესის თხოვნით ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ჩამოხრჩობა სამუდამოდ მადნების სამუშაოდ გაგზავნით შეუცვალა.

გენერალ-ლეიტენანტი სუბბოტინი დაინიშნა ამურის მხარის გენერალ-გუბერნატორად, იმავ სამხედრო ოლქის მთავარ-სარდლად და ყაზახთა ჯარის მიჩენილ ატამანად.

დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი თავადი ვასილჩიკოვი გვარდიის კორპუსის უფროსად.

იალტა. ნოემბრის 6-ს საბერძნეთის იახტა „ამფიტრიდა“-თი მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფალი, ბატონიშვილი საბერძნეთისა ნიკოლოოზი და დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული. მათნი უდიდებულესობანი გამოესალმენ უმაღლესს ნეფე-პატარძალს და ლივადიას გაემგზავრნენ. მათნი უმაღლესობანი იახტით საბერძნეთს დაბრუნდნენ.

ნოემბრის 6-ს ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების დესპანი, რომელმაც ჩააბარა უკანგაწვევის სიგელი. ხელმწიფე დედოფალმა ინახულა დესპანის მეუღლე. დესპანი მეუღლესთან ერთად მიწვეულ იქმნა უდიდებულესთა საუზმეზე.

გამოითქვა აზრი, რომ ამ ღირს-სახსოვარ დღის აღსანიშნავად გამართულ იქმნას თავშესაფარი ოფიცერთა ქვრივ-ობლებისათვისო. საღამოზედ დიდ ბული მეჯლისი გაიმართა.

პრეტორია: ტრანსვაალში გაუქმებულ იქმნა სამხედრო წეს-რიგი. ნება-რთვა დასახლებისა მიეცემათ ბურებს, რომელნიც პირობას დასდებენ და ქვეშევრდომობის ფიცს მიიღებენ.

პეტრბურგი. დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ბარონ ფონ-შტაკელბერგი I ციმბირსკი კორპუსის უფროსად კავალერიის გენერალ ლერმონტოვის მაგივრად, რომელიც სამხედრო საბჭოს წევრად დაინიშნა.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37¹/₂
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,27¹/₂
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4¹/₂—6¹/₂%
4% სახელმწიფო რენტა	97 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99³/₈ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94¹/₂ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	478¹/₂ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	366¹/₂ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	293¹/₂ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4¹/₂% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⁵/₈ წვ. გაყ.
4¹/₂% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	10,100 გაყ.
აქციები ,, ,, ,, ,,	510 წვრ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	5,010 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	440 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	227 გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი

9 ნოემბრისთვის.

1. დავა თოფურიებისა, ცომაიათა და მალიევებისა.
2. დავა გრ. მაჭავარიანისა და სპ. მაჭავარიანის მემკვიდრის კნ. ბარბ. წერეთლისა.
3. გიორგი ჩხოტუაშვილისა და ბაქოს რკინის გზის საზოგადოების დავა.
4. ლუტაძისა, იმხნელისა, ქვავაძისა და გოგბერაშვილის დავა.
5. მიხეილ მონაბეროვისა, დანიელ დავარაშვილისა და ისაკა ცინცაშვილის დავა.
6. დავა ატევისა და სვიმ. გაბანაშვილისა.
7. სარაძისა და აპ. ჩხეიძის დავა.
8. დავა კნ. დესპინე წერეთლისა და მუსტ. ალიხანუზ-ოღლის საქმის თაობაზედ.
9. ბაბული ბახტაძის საქმე.
10. ბახტაძეებისა და სადიხ-ხანუნ აბაშიძის დავა.
11. დავა გაბრიელ ფიჩხაძისა, მიხეილ კოკიტიაშვილისა და ვას. ლორთქიფანიძის საქმეზედ.
12. ივ. ბაქრაძისა და მატრონა მგალობლიშვილის დავა.
13. ტარიელ ნიკოპაძისა და ს. კირვალიძის დავა.
14. დავა კოხინიძისა და მიხ. ხითარაშვილისა.
15. საქმე კობახიძისა და გ. ვასილიევისა.
16. საქმე რომ. ურდიასა და თომა გაბისონიასი.
17. გრ. კირიასი და პილა უჩანაიშვილის დავა.

განცხადება

გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობისა

„შ ხ ჭ ა“

აუწყებს ბ-ნთ ამხანაგთ, რომ მათ მიერ 3%-იან შესატანის ვადა, ესე იგი 3 მ. თითო პაიზე, დანიშნულია 16-დან 23 ნოემბრამდე და ჯარიმით შესატანის ვადა 24 ნოემბრიდგან 3 დეკემბრამდე. ფული უნდა წარმოადგინონ გამგეობის კანტორაში, დიდის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 6–8 საათამდე.

პაის პატრონთ ფულის შემოტანის დროს უნდა წარმოადგინონ პაის კვიტანციებიც.

(3—455—1)

10 ნოემბერს, 1902 წ. საღამოს 8 საათზე **ტფილისის სომეხთა ნერსესიანის სასულიერო სემინარიის საბჭოსაგან** 1903 წ. 1-ლს იანვრიდგან გაიცემა იჯარით

სამ სართულიანი სახლი,

რომელიც ეკუთვნის ამ სემინარიას და რომელიც იმყოფება ტფილისში მე-3-მე უბანში სალდათის ბაზარში, პუშკინისა და გრაფის ქუჩებზე სახლის ქვემო სართულში 22 დუქანია თავისის სარდაფებით. სალდათის ბაზრისაკენ ზემო სართულში 9 ოთახია, სადაც ამ ჟამად მოთავსებულია ტრახტირი „ვარშავა“, ეზოში 4 ოთახიანი ფლიგელია. სახლის ქირა 15827 მან.

პირობები მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 10 საათიდგან, შუადღის 1 საათამდე.

(3—453—3)

20 ნოემბერს, 1902 წ. საღამოს 8 საათზე ტფილისის სომეხთა ნერსესიანის სასულიერო სემინარიის საბჭოსაგან 1903 წ. 1-ს იანვრიდგან გაიცემა იჯარით ნახევარი ნაწილი იმ **სახლისა**, რომელიც შემოწირულია ამ სემინარიის სასარგებლოდ თაქუა პანასოვისაგან—მეორე ნახევარი ამ სახლისა ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეს მიხ. პავ. იავანოვს. ეს სახლი იმყოფება ტფილისში მე-7-დე უბანში, კახეთის მეიდნის უკან, სირაჯხანის აღმართის მხარეს. სემინარიის ნაწილს ამ სახლისას წელიწადში შემოაქვს 750 მანეთი.

პირობები მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე კვირა უქმეებს გარდა დილის 10 საათიდგან შუადღის 1-ლს საათამდე. (3—454—2)

ლებისამებრ მდგომარე წლის „ივერიის“ ორს ფელეტონში („ქიზიყის საჭიროება“ № 92,93) **თუ-კი სამეურნეო-სამრეწველო საქმეთა ბედის ჩარხის წალმა საბრუნებლად მომქმედი ჩვენი საგუბერნიო კომიტეტები კეთილ ინებებენ და დიდი კახეთ-ქიზიყის იმ უმთავრესს, ადგილობრივ საჭიროებათაც მხედველობაში მიიღებენ გუბერნიის სხვა კუთხეების სხვა-და-სხვა ადგილობრივ საჭიროებებთან ერთად. სასურველია, კომიტეტებმა ამასაც ყურადღება მიაქციონ, რომ დიდი მთა-ველ-მინდვრებიან სიღნაღის მაზრის თავისუფალ სახელმწიფო ადგილებზედ ადგილ-მამულებით დიდად შევიწროებულნი იმერნიც ან სხვა ქართველთავე ცოტმიანი დაასახლოს მთავრობამ.**

გარდა ამისა, ქვემო-ქიზიყის ზოგიერთ სოფელს ოცი ათას (20,000) დესეტინამდის სახნავ-სათიბ-საძოვარი მიწები უჭირავს და, რადგანაც ამოდენა მიწებს ვერა ხმარობს ერთი სოფლის ხალხი და მიზომილ ველ-მინდვრების გარდასახადს-კი სრულად იხდის, ამიტომაც ამისთანა სოფლები სთხოვენ მთავრობას: გამოგვართვით რამდენიმე ათასი დესეტინა მიწა და შეგვიმსუბუქეთ ეს ამოდენა, აუტანელი საადგილ-მამულო გარდასახადებიო. **კარგი იქნება, რომ ამ გარემოებასაც ხსენებულმა კომიტეტმა და იმერთა ინტელიგენციამაც ყურადღება მიაქციონ, ვიდრე სხვანი ისარგებლებენ ამ შემთხვევით...**

დიაღ, მოუწყეთ და მოუმართეთ ხრონომეტრის მეხანიზმივით ოქროს მთა-ბარიან კახელ-ქიზიყელებსაც თავიანთ მაცხოვრებელი, მილიონების მეურნეობა-მრეწველობის საქმეთა უკუღმა მბრუნავი ჩარხი წალმა საბრუნებლად, როგორც მოგახსენეთ „ქიზიყის საჭიროებაში“ ადგილობრივ საჭიროებათა მიხედულობით, და მაშინ ქონების ფიტ-მოკრული და წელში გაშლილი ხალხი სხვა-და-სხვა ტიპის სპეციალურ სასწავლებლებსაც და სასოფლო სამკურნალოებსაც სიხარულით დაიარსებს ყველგან ადვილად, საკუთარ იურისტებსაც იყოლიებს ჯამაგირით ქვეყნის ამომღებ „აბლოკატების“ ბოლოკივით ფესვიანად ამოსაგდებად, უსარგებლოდ მიმდინარე ალაზან-იორიდამ სარწყავ არხების გამოყვანასაც ხალისიანად შეეჭიდება უნაყოფო ხრიოკზედაც-კი გულ-სამებელ ედემ-ბაღის ასაშენებლად, საკეთილოდ გამომფხიზლებელ ჟურნალ-გაზეთწიგნებიც ცხოველ-მყოფელ მზის სხივებივით მოეფინებიან ჭირ-ვარამიან სილატაკის ზღვიდამ თავ დაღწეულ სოფლებს კიდით-კიდემდე და სხვა ასიათასნაირი სასარგებლო საქმენიც და სამეურნეო სამრეწველო მანქანებიც ქვეყნის ათასფერად ამყვავებელ ქონება-ფულის წყალობით. ტყუილად კი არ ამბობს ჩვენი ხალხი: ფული ნატრითვალიაო, მეორე ღმერთიაო, ხმალ-ამოღებული ხელმწიფეაო, ფულისა ჯოჯოხეთსაც-კი ეშინიან, არ დამანგრიოსო.

ორი ათასის წლის განმავლობაში უანგარიშო და ენით-გამოუთქმელ ტანჯვა-წამების ქარ-ცეცხლში გამოვლილ საქართველოს ორ მილიონ ხალხს ახლა წინმსვლელობის გამათახსირებელი უქონლობა და უფულობა ჰღუპავს ყოველ მხრივ, და ქართველთა ნამოღვაწევი ქონებითა და მილიონებით-კი სხვანი ბატონობენ, სხვანი ბელადობენ, სხვანი მეტიჩრობენ და ბობოქრობენ და უსირცხვილოდ სჩაგრავენ ყველა უქონელს და მათ სამართლიან სიტყვასა და საქმეს; მაგრამ... ფიქრი არ არი, ერთი დრო არავის შერჩება, ღმერთი ბოლოს გაგვასამართლებს ყველასაო, და, მაშასადამე, დადგება ცოდვილების განკითხვის დღეც და დაჩაგრულთა დღესასწაულიც, და დღეს რომ ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს და ზოგისა კაკალიც არა, ხვალე ეგრე აღარ იქნება, თუ კი ჩვენს გონებას დაუძინებელი ზრუნვა-ფიქრით ვამოქმედებთ და მარჯვენას—დაუღალავი გარჯა-შრომით ადამიანის გამაძლიერებელი მხნეობითა და გამჭრიახობით.

ქიზიყელი.

Дозволено цензурою. 8 Тифлисъ ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (тип. Гр. Н. Діасамидзе), ... Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.